ქალაქ ქუთაისში, ბალანჩივაძის ქუჩა N2/6 საცხოვრებელი სახლის
N62 ბინის ½ ნაწილზე, მოქალაქეების გენადი და რუსუდან მორჩილაძეებისათვის
საკუთრების უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა ბალანჩივაძის ქუჩა N2/6 საცხოვრებელი სახლის N62 ბინაში მცხოვრები მოქალაქეების გენადი და რუსუდან მორჩილაძეების განცხადება /2012 წლის 27.11 Nმ–9764/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ბალანჩივაძის ქუჩა N2/6 საცხოვრებელი სახლი N62 ბინა ½ ნაწილი/, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39–ე მუხლის მე–3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, $65^2$ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ბალანჩივაძის ქუჩა N2/6 საცხოვრებელი სახლის N62 ბინის ½ ნაწილზე, საკუთრების უფლება მიენიჭოთ მოქალაქეებს გენადი და რუსუდან მორჩილაძეებს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, ბალანჩივაძის ქუჩა N2/6 საცხოვრებელი სახლის N62 ბინის ½ ნაწილზე /საერთო ფართობი 60,79 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 35,89 კვ.მ, დამხმარე ფართობი 24,90 კვ.მ./ მოქალაქეების გენადი და რუსუდან მორჩილაძეების სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კ.რატიანმა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერის
მოვალეობის შემსრულებელი ა.ძოწენიძე